INFINITE ENERGY

უსასრულო ენერგია

47/57 მ. კოსტავას ქ., ბიზნეს ცენტრი სინათლე
ოფისი 29, 0179 თბილისი, საქართველო
+995 790 200 322 | info@infinite.ge | www.infinite.ge

სამშაბათი, 02 ივნისი, 2020
წერილის ნომერი IE-20191225-PA-08

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს ,,უსასრულო ენერგია'', ქარის ელექტროსადგურის ,,იმერეთი 1''-ს ქსელში ინტეგრაციის მიზნით, იმერეთის რეგიონში გეგმავს 33/110 კვ ქვესადგური ,,იმერეთი''-ს და 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა ეგხ ,,იმერეთი''-ს მშენებლობას და ექსპლუატაციას.

ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებულია საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, ხოლო ამავე მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, ,,თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები''.

შპს ,,უსასრულო ენერგია''-ს მიერ დაგეგმილი საქმიანობა განეკუთვნება ზემოაღნიშნული კოდექსის II დანართის 3.4 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება.) და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის გათვალისწინებით, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, პროექტის განხორციელებისთვის გაიაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა.

ზემოაღნიშნულისა და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, წარმოგიდგენთ, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, შპს ,,უსასრულო ენერგია''-ს ,,33/110 კვ ქვესადგური ,,იმერეთი''-ს და 110 კვ ეგხ ,,იმერეთი''-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის'' სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

1. ,,33/110 კვ ქვესადგური ,,იმერეთი''-ს და 110 კვ ეგხ ,,იმერეთი''-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის'' სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი.
2. ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია და საპროექტო ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD.

პატივისცემით,

თორნიკე ბახტურიძე

აღმასრულებელი დირექტორი
დირექტორთა საბჭოს წევრი

შპს უსასრულო ენერგია INFINITE ENERGY Infinite Energy LLC 405104257

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო № 8106 02.06.2020 წ. 1/CD + 02 +